8 ივნისი, 2021

პატივცემული მინისტრი ლაშა ხუციშვილი

ფინანსთა სამინისტრო

16 გორგასლის ქუჩა, 0114

თბილისი, საქართველო

ძვირფასო პატივცემულო მინისტრო ხუციშვილი,

საკითხი: სესხი 3238-GEO: ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა, პროექტი 4 - სასესხო ხელშეკრულების ცვლილებები (ცვლილების შეთანხმება #4)

1. ჩვენ ვეხებით სასესხო ხელშეკრულებას (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მასში დღეის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებებით, „სასესხო შეთნხმება") დათარიღებულს 2015 წლის 5 თებერვლით, საქართველოსა („მსესხებელი") და აზიის განვითარების ბანკს („ADB") შორის ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა („USIIP") - პროექტი 4. ყველა ტერმინს, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე დოკუმენტში, მაგრამ არ არის განმარტებული, უნდა ჰქონდეს ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს სასესხო ხელშეკრულებაში თუ შინაარსი არ მოითხოვს სხვა რამეს.
2. მსესხებლის თხოვნის საპასუხოდ, ADB-მა 2020 წლის 21 ოქტომბერს და 2020 წლის 17 ნოემბერს დაამტკიცა მულტიტრანშური დაფინანსების საშუალების ხელმისაწვდომობის ვადის გაგრძელება, რათა უზრუნველყოფილი იქნას საკმარისი დრო, რომ დასრულდეს 3,4,5 და 6 პროექტების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. შესაბამისად, 2021 წლის 24 თებერვალს ADB-მა დაამტკიცა USIIP -პროექტი 4-ის სესხის დახურვის თარიღის გაგრძელება. იმისათვის, რომ აისახოს ასეთი ცვლილებები, ADB გვთავაზობს სასესხო ხელშეკრულება შეიცვალოს შემდეგნაირად:

   (ა) ნაწილი 3.05 შეიცვალოს და მითითება „29 მარტი 2021"-ზე შეცვლილი იქნას „29 მარტი 2024 "-ით.
   (ბ) პირველი და მეორე წინადადებები დანართი 5-ის მე-8 პარაგრაფის შეიცვლება და წაიკითხება შემდეგნაირად:
   „8. მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ UWSCG-მ მიაღწიოს საოპერაციო კოეფიციენტის 1-ის ტოლ მნიშვნელობას 2023 წლის ბოლოსთვის და შეინარჩუნოს ის 1-ზე ნაკლები შემდგომში და FFA-ის დებულებების შესაბამისად. ზემოაღნიშნულ მე-6 პარაგრაფში მოცემული ბიზნეს გეგმა მოიცავს წლიურ მიზნებს, 2015 წლიდან დაწყებული, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საოპერაციო კოეფიციენტის პროგრესულად შესამცირებლად, რათა 2023 წლისთვის მიღწეულ იქნას საოპერაციო კოეფიციენტის 1-ის ტოლი მნიშვნელობა, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე წინადადებაში."

3. გარდა ზემოთ მითითებული ცვლილებებისა სასესხო ხელშეკრულება რჩება უცვლელი.

4. ADB-ის ინფორმაციაზე დაშვების პოლიტიკის (2018) („AIP“) შესაბამისად სასესხო ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები გამოქვეყნდება ADB-ის ვებ გვერდზე ცვლილებების ძალაში შესვლიდან 2 კვირის განმავლობაში, ნებისმიერი ინფორმაციის ამოღების შემდეგ, რომელიც შედის AIP-ის გამონაკლისებში როგორც ეს განსაზღვრულია მსესხებლის მიერ.
5. გთხოვთ მიუთითოთ მსესხებლის თანხმობა აღნიშნული #4 ცვლილების შეთანხმების მე-2 პარაგრაფში აღნიშნულ ცვლილებებზე და ამ #4 ცვლილების შეთანხმების პირობებზე, ამ #4 ცვლილების შეთანხმების ორივე ორიგინალში ქვემოთ მითითებულ ადგილზე ხელის მოწერით. გთხოვთ აღნიშნული #4 ცვლილების შეთანხმების ერთი ორიგინალი დაიტოვოთ თქვენი ჩანაწერებისთვის და მეორე დაუბრუნოთ ADB-ს. შემოთავაზებული #4 ცვლილების შეთანხმება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც ADB მიიღებს მსესხებლის მხრიდან ხელმოწერილ დოკუმენტს მსესხებლის შეტყობინებასთან ერთად, რომ მის ძალაში შესასვლელად საჭირო ყველა სამართლებრივი პროცედურა დასრულებულია.

პატივისცემით,

ევგენი ჟუკოვი

გენერალური დირექტორი

ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი

ა. მიღებულია და შეთანხმებული

ბ. დადასტურებულია რომ სასესხო ხელშეკრულების ცვლილებები არ შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მითითებულია AIP-ის გამონაკლს შემთხვევებში.

საქართველოსთვის და მისი სახელით

სახელი: ლაშა ხუციშვილი

თანამდებობა: მინისტრი, ფინანსთა სამინისტრო

თარიღი: 8 ივნისი, 2021

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 0100/1-2
თარიღი/DATE 08.06.2021
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia